ირაკლი ფაღავას N6
0144 თბილისი, საქართველო
ცხელი ხაზი:1481(24/7)
www.ombudsman.ge
ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge

საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN)
OF GEORGIA

KA000071877027825

22 აგვ 2025 წ.

№ 25/6665

საქართველოს გენერალურ პროკურორს
ბატონ გიორგი გვარაკიძეს

წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა

მოქალაქე [redacted] მიმოსვლის თავისუფლების დარღვევის შესაძლო ფაქტზე გამოძიების დაწყების თაობაზე

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.[1]

ბატონო გიორგი,

სახალხო დამცველის აპარატს მიმართა მოქალაქე [redacted] [redacted] განმცხადებლის განმარტებით, 2024 წლის 25 ივნისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საზღვრის მართვისა და კოორდინირების მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა არ მისცეს შესაძლებლობა, გადაეკვეთა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში და გამგზავრებულიყო პოლონეთის რესპუბლიკაში, ქალაქ პოზნანში.

ფაქტობრივი გარემოებები

განცხადების თანახმად, 2024 წლის 25 ივნისს ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის გავლით (რეისი PC1841), [redacted] მის შვილთან, [redacted] ერთად უნდა გამგზავრებულიყო პოლონეთის რესპუბლიკის ქალაქ პოზნანში, თუმცა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა გამგზავრების შესაძლებლობა არ მისცეს. პოლიციის თანამშრომლებმა ზეპირსიტყვიერად უთხრეს, რომ საქართველოს დატოვება აკრძალული ჰქონდა 2021 წელს ჩადენილი დანაშაულის გამო, თუმცა წერილობით არ განუმარტეს და არ გადასცეს საქართველოს ტერიტორიის დატოვებაზე უარის მიზეზის ამსახველი დოკუმენტი.

[redacted] განმარტებით, მას ჰქონდა პირობითი მსჯავრი წარსულში ჩადენილი დანაშაულის გამო, რომლის გამოსაცდელი ვადა დაუმთავრდა 2024 წლის მარტის თვეში. განმცხადებლის თქმით, 2024 წლის 25 ივნისს საქართველოდან გასვლაზე უარის თქმის გამო მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი მიიღო.[2]

განმცხადებლის მიერ მითითებული გარემოებებისა და [redacted] საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის შეზღუდვის სამართლებრივი საფუძვლების შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა შინაგან საქმეთა სამინისტროდან[3] და თბილისის საქალაქო სასამართლოდან[4] ინფორმაცია გამოითხოვა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, 2024 წლის 4 სექტემბრის მდგომარეობით, [redacted] მიმართ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთაზე შეზღუდვა დაწესებული არ იყო, ხოლო დამატებითი განმარტება აპარატს უწყებამ არ წარმოუდგინა.[5]

თბილისის საქალაქო სასამართლოს განმარტებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 13 მაისის განჩინებით, [redacted] აკრძალული ჰქონდა სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა, საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებამდე. აღნიშნულ საქმეზე [redacted] მსჯავრდებული იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 14 მარტის განაჩენით. 2023 წლის 16 მარტს [redacted] მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტს გაეგზავნა.[6]

[redacted] სახალხო დამცველის აპარატში წარადგინა შემდეგი დოკუმენტები: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2024 წლის 28 ივნისის NMIA 4 24 01938697 წერილის ასლი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიული ორგანოს თბილისის პრობაციის ბიუროს მიერ გაცემული N2/05/23620 ცნობის ასლი, პასპორტის ასლი, თვითმფრინავში ჩასხდომის ბარათის (ბილეთი, რომელიც იძლევა წვდომას თვითმფრინავზე) ასლი, [redacted] მობილური ტელეფონის ნომრიდან [redacted] განხორციელებული აქტივობების სატელეფონო ამონაწერი ადგილმდებარეობის მითითებით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ [redacted] პასპორტს მოქმედების ვადა განსაზღვრული აქვს 2029 წლის 6 აგვისტომდე. განმცხადებელს შეძენილი ჰქონდა ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტიდან პოლონეთის რესპუბლიკის ქალაქ პოზნანში გასამგზავრებელი ბილეთი, რომლის თანახმად, ფრენა უნდა შემდგარიყო 2024 წლის 25 ივნისს, 06:20 საათზე. [redacted] მობილური ტელეფონის ნომრის ადგილმდებარეობა 2024 წლის 25 ივნისის 05:24:15 საათიდან ფიქსირდება იმერეთის რეგიონში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ კოპიტნარში, ხოლო 2024 წლის 25 ივნისის 10:31:35 საათიდან - ქალაქ თბილისში. 2024 წლის 28 ივნისს შინაგან საქმეთა სამინისტრომ [redacted] მისსავე წერილზე აცნობა, რომ 2024 წლის 27 ივნისის მდგომარეობით მას საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთაზე შეზღუდვა არ ჰქონდა. თბილისის პრობაციის ბიუროს N2/05/23620 ცნობა ადასტურებს, რომ 2024 წლის 13 მარტს [redacted] გამოსაცდელი ვადა დაუმთავრდა.

სამართლებრივი დასაბუთება

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, აქვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლის, საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევისა და საქართველოდან თავისუფლად გასვლის უფლება.[7] ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის ან მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით.[8]

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის თანახმად, თითოეულ ადამიანს უფლება აქვს დატოვოს ნებისმიერი ქვეყანა, მათ შორის საკუთარიც.[9] აღნიშნული უფლება არ ექვემდებარება რაიმე შეზღუდვას, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით, აუცილებელია სახელმწიფოს უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ზნეობის, ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლების დასაცავად და შესაბამისობაშია წინამდებარე პაქტით აღიარებულ სხვა უფლებებთან.[10]

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, საქართველოს მოქალაქის პასპორტის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მოქმედება შეიძლება შეჩერდეს, თუ პირი, რომელზედაც გაცემულია საქართველოს მოქალაქის პასპორტი, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი, ბრალდებულია (მსჯავრდებულია) ამ კოდექსით დადგენილი წესით და არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ აღნიშნული პასპორტის/

დოკუმენტის გამოყენებით იგი შეძლებს საქართველოდან გასვლას ან საზღვარგარეთ გადაადგილებას.[11]

ძებნილი ბრალდებულისათვის (მსჯავრდებულისათვის) საქართველოს მოქალაქის პასპორტის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მოქმედების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ პროკურორი წერილობითი შუამდგომლობით მიმართავს გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს, რომელსაც საკმარისი საფუძვლის არსებობისას გამოაქვს განჩინება ამ ღონისძიების გამოყენების შესახებ.[12]

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს აღკვეთის ღონისძიებასთან ერთად, ბრალდებულისთვის პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის ჩაბარების ვალდებულების დაკისრებას, აგრეთვე, აღკვეთის ღონისძიების მიზნების მისაღწევად აუცილებელი ნებისმიერი სხვა ღონისძიების განსაზღვრა, მათ შორის, საზღვრის გადაკვეთის უფლების შეზღუდვა, არის შესაძლებელი სასამართლოს გადაწყვეტილებით.[13]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი დანაშაულად აცხადებს სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, საქართველოში კანონიერად მყოფი პირისთვის საქართველოდან თავისუფლად გასვლის უფლების განხორციელებაში უკანონოდ ხელის შეშლას, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.[14]

საგამოძიებო ქვემდებარეობის საკითხი

„სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს გენერალური პროკურორის 2025 წლის 30 ივნისის N019 ბრძანების თანახმად, „სისხლის სამართლის საქმე განეკუთვნება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გამომძიებლის საგამოძიებო ქვემდებარეობას, თუ ამ მუხლით სხვა რამ არ არის დადგენილი“.[15] ამავე ბრძანების თანახმად, „პროკურატურის გამომძიებლის საგამოძიებო ქვემდებარეობას განეკუთვნება საქმეები პოლიციელის მიერ ჩადენილი დანაშაულის თაობაზე“.[16]

წინამდებარე საქმის ანალიზი

ამრიგად, სახალხო დამცველის აპარატის მიერ საქმის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს მოქალაქე [redacted] საქართველოდან გასვლის უფლებით სარგებლობაში ხელშეშლის დროს, მის მიმართ არ ყოფილა დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნა და შესაბამისად, სასამართლოს მიერ არ ყოფილა მიღებული მისთვის საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთის უფლების შეზღუდვის შესახებ გადაწყვეტილება. ამასთან, [redacted] მიმართ საქართველოდან გასვლაზე უარის თქმის სხვა კანონიერი საფუძვლის არსებობის ფაქტიც არ იკვეთება.

მიუხედავად იმისა, რომ 2024 წლის 25 ივნისს [redacted] მიმართ შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლით საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის აკრძალვა გამოყენებული არ იყო, სავარაუდოდ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა მას საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის შესაძლებლობა არ მისცეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცალკეული ფაქტობრივი გარემოებების დადგენისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა ქმედებების სამართლებრივი შეფასების მიზნით, აუცილებელია გამოძიების დაწყება და შესაბამისი საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებების ჩატარება.

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლოა საქართველოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ ადგილი ჰქონდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 152-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას.

შესაბამისად, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ წინადადებით:

1. დაიწყოთ გამოძიება [redacted] მიმოსვლის თავისუფლების შესაძლო დარღვევის ფაქტზე, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ჩადენილი

სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 152-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით;

2. გამოძიება დაუქვემდებაროთ პროკურატურის გამომძიებელს, ვინაიდან, აღნიშნული შესაძლო დანაშაული, სავარაუდოდ, ჩადენილია შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლ(ებ)ის მიერ.

ამასთან, გთხოვთ, წინამდებარე წინადადების განხილვის შედეგები მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

დანართის სახით გეგზავნებათ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ხელთ არსებული მასალების ასლებს.

დანართი: 9 (ცხრა) ფურცელი.

პატივისცემით,

---

[1] წინადადება მომზადებულია განმცხადებლის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის საფუძველზე.

[2] 2025 წლის 4 აგვისტოს [redacted] ჩატარებული გასაუბრების ოქმი.

[3] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 29 აგვისტოს N2024/4131 წერილი.

[4] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 15 ნოემბრის N2024/6454 წერილი.

[5] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2024 წლის 4 სექტემბრის NMIA 1 24 02708085 წერილი.

[6] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 20 ნოემბრის N9090 წერილი.

[7] საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 14, პუნქტი 1.

[8] იქვე, პუნქტი 2.

[9] „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ" საერთაშორისო პაქტი, მუხლი 12, პუნქტი 2.

[10] იქვე, პუნქტი 3.

[11] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 163.

[12] იქვე, მუხლი 164.

[13] იქვე, მუხლი 199, ნაწილი 2.

[14] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 152, ნაწილი 2.

[15] „სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს გენერალური პროკურორის 2025 წლის 30 ივნისის ბრძანება N019, მუხლი 1, პუნქტი 2.

[16] იქვე, პუნქტი 4, ქვეპუნქტი „ა".

საქართველოს სახალხო დამცველი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან იოსელიანი